რწმენისა და აღმსარებლობის შესაძლებლობა საქართველოში

საკითხის ანალიზი და სარეკომენდაციო წინადადებები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
ოქტომბერი, 2013 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი[1]

1. საკითხის ანალიზისთვის
2. საკითხის ფაქტობრივი გარემოება
3. დასკვნა
4. სარეკომენდაციო ნაწილი

[1] მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

1. საკითხის ანალიზისთვის

2012 წლის ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რწმენისა და აღმსარებლობის კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებების დაცვის საკითხმა. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მომხდარმა შემთხვევამ, რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტები გამოკვეთა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სამთავრობო და ექსპერტულმა წრეებმა, არაერთი საჯარო განცხადება და შეფასება გამოთქვეს ნიგვზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროსა და ბოლოს უკვე, 2013 წლის 26 აგვისტოს, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში რელიგიურ ნიადაგზე შექმნილი სირთულეების მიმართ. საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო ინციდენტთან დაკავშირებით მყისიერი გამოხმაურება მოახდინა. „ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის მშენებლობამ და მასზე სახელმწიფო სტრუქტურების რეაგირებამ, საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია. თავის მხრივ, სახელმწიფოს სტრუქტურების ქმედებების საბაბი გახდა მინარეთის მშენებლობის პროცესში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფა და მინარეთის აღმართვა შესაბამისი ნებართვის გარეშე. აღმსარებლობის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს მთავრობა არ დაუშვებს ამ გარანტიების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოებს, საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების დროს, აკისრიათ ვალდებულება, იმოქმედონ განსაკუთრებული სიფრთხილით, როდესაც საქმე ეხება საქართველოს მოქალაქეთა რელიგიურ გრძნობებს.“[2] მიუხედავად ამისა, რელიგიურ აღმსარებლებს შორის დაწყებული გაუგებრობები, სათანადო შეფასებას და გადაწყვეტილებებს მოითხოვს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა პრობლემების პრევენციებს და ქვეყნის მარავალსაუკუნოვანი, ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას. რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების საკითხები უკვე იქცა საზოგადოებრივი ჯგუფების დისკუსიის საგნად. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის აგვისტომდე, ოთხი მძლავრი შემთხვევა, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და ქართველ მუსლიმებს შორის მოხდა, სერიოზული ანალიზის საფუძველს იძლევა:

1. რამდენად ობიექტურია დასახელებული წინაპირობები, რომელიც კონფესიებს შორის დაძაბულობას და შეუმწყნარებლობას იწვევს
2. რელიგიურ ნიადაგზე არსებული პრობლემები აჩვენებს რეალურ დაპირისპირებას თუ მიუთითებს საკითხის ხელოვნურ გამწვავებაზე
3. რამდენად უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას
4. რა პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს საპატრიარქოს, ცალკეულ კონფესიებსა და სამთავრობო უწყებებს რელიგიურ ნიადაგზე არსებულ შესაძლო პრობლემების გადაჭრისათვის
5. რამდენად დაინტერესებულია რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო კონფლიქტით ისლამური სახელმწიფოები, აქტიური სოციალური ჯგუფები და საქართველოსთან მტრულად განწყობილი ქვეყნები
6. რა ეროვნული მექანიზმი და რესურსი არსებობს იმისთვის, რომ მიღებულ იქნეს რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო დაძაბულობების პრევენცია და ქვეყანაში არსებობდეს თანასწორუფლებიანი აღმსარებლობის გარემო?

ორგანიზაციამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რელიგიურ ნიადაგზე არსებული პრობლემების შესწავლის დროს, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და ქართველ მუსლიმებს შორის, გაუგებრობებს გააჩნდა რეგულარული ხასიათი, ხოლო მრევლს შორის აღმსარებლობის საკითხებზე დისკუსიის გაგრძელება წამოადგენდა ხელოვნურად შექმნილ დაძაბულ გარემოს რელიგიური უმცირესობების უფლებების შელახვის ფაქტების წარმოსაჩენად. საერთო ვითარებამ გამოკვეთა ტენდენციები, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო სათანადოდ ვერ იცავს

[2] 2013 წლის 9 სექტემბრის რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადება

რელიგიური უმცირესობების კონსტიტუციურ უფლებებს, საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია ვერ უზრუნველყოფს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვას, საქართველოს წინაშე წამოჭრილი რელიგიური ხასიათის დარღვევები კი დემოკრატიული პროცესების შემაფერხებელი და სახელმწიფო ინსტიტუტების არაქმედითი ფუნქციონირების გამომხატველია. რელიგიური გაუგებრობები გახდა ქართული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილიც. საპარლამენტო ოპოზიციის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) შეფასებით, „ფართო საზოგადოების მუდმივ შეშფოთებას იწვევდა გასული წლის ნოემბრიდან რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებისა თუ სხვა სახის ინციდენტების ზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. სამწუხაროდ, ბოლო თვეების მანძილზე მომხდარი ინციდენტების დროს, მათ შორის სოფლებში წინწყაროსა თუ სამთაწყაროში, სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული საკუთარი მინიმალური ფუნქციებიც კი. სახელმწიფო არ გამოვიდა საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებების დამცველად და არ აღკვეთა ძალადობა. მეტიც, სხვადასხვა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირებმა გააკეთეს წინდაუხედავი განცხადებები, რითაც ხელი შეუწყვეს მეტად სახიფათო კლიმატის ჩამოყალიბებას.“[3] შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა ადგილას რელიგიურ საკითხებზე დისკუსიამ პოლიტიკური მანიპულირების ხასიათიც შეიძინა, რამაც კიდევ უფრო მეტად გაართულა კონფესიებს შორის ინსტიტუციური დიალოგი.

მთელ ამ პროცესში, ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენს სიცხადე მიმართულებებით:

- რამდენად შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან მსგავსი ტიპის ქმედებები.
- ვინ უნდა მოახდინოს რეაგირება კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, ვის კომპეტენციას წარმოადგენს საკითხის დარეგულირება და რეალურად, ვინ უნდა დაარეგულიროს საკითხი?
- არის თუ არა პრობლემა საზოგადოების მენტალიტეტში.
- როგორ შეიძლება საკითხის მოგვარება, სახელწიფოს მექანიზმების გამოყენებით თუ უნდა მოიძებნოს ალტერნატიული მიდგომა, რომელიც უფრო ეფექტურ შედეგს გამოიღებს პრობლემის გადაჭრისთვის.

[3] 2013 წლის 26 აგვისტოს საპარლამენტო ოპოზიციის ოფიციალური განცხადება

2. საკითხის ფაქტობრივი მხარე

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების მიმართ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მაღალი ინტერესი, პირველად, 2012 წლის ნოემბერში გაჩნდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში აჭარის რეგიონიდან ეკომიგრანტ ადგილობრივ მუსლიმ და მართლმადიდებელ მოსახლეობას შორის გაუგებრობა სამლოცველოს გამო დაიწყო. სოფელში ჩასახლებულმა ეკომიგრანტმა აჭარლებმა, ერთ-ერთ სახლში, მუსულმანური სამლოცველო მოაწყვეს, რასაც ადგილობრივი მართლმადიდებლების ნაწილის პროტესტი მოჰყვა. 2012 წლის 5 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, მომლოცველებს შორის არსებული დაძაბულობის ადგილზე შესწავლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. შეხვედრაზე კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, სადაც ნიგვზიანში მუსულმანებს ლოცვის გაგრძელების საშუალება მიეცემათ. კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციით, კონფლიქტი სოფელში პროვოცირებული იყო და მეჩეთის მშენებლობის საკითხი განხილვის თემა არც ყოფილა.[4]

მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და ქართველ მუსლიმებს შორის რიგით მეორე ინციდენტი, 2012 წლის 29 ნოემბერს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში მოხდა. გაუგებრობები მალევე ამოიწურა, ვინაიდან საქართველოს პრემიერ–მინისტრისა და საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სამშვიდობო განცხადებებმა, გაუგებრობები აღმოფხვრეს. 2012 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სოფელ წინწყაროში და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ადგილობრივი მეჩეთის წინამძღოლს, მარად ღორჯომელაძეს. ახსნა-განმარტების თანახმად, სოფლის ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის ნაწილი აპროტესტებდა მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან რელიგიური თავისუფლებით სარგებლობას, რის გამოც, მარად ღორჯომელაძეზე რელიგიური ნიშნით ზეწოლა განხორციელდა. კერძოდ, 2012 წლის 29 ნოემბერს, მარად ღორჯომელაძეს რელიგიურ ნიადაგზე სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირდა. მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრნენ, რომ თუ არ შეწყვეტდა მეჩეთის მშენებლობას, დაუწვავდნენ სახლს და გააძევებდნენ სოფლიდან.[5] სახალხო დამცველის მიმართვაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ წინწყაროში ინციდენტი 2012 წლის 30 ნოემბერსაც მოხდა. კერძოდ, მუსლიმურ სალოცავთან შეკრებილი მართლმადიდებელი მოსახლეობის ნაწილმა მუსლიმების მიერ რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულება გააპროტესტა. პროტესტი სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა, თუმცა ადგილზე მყოფი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ჩარევის შემდგომ სიტუაცია განიმუხტა და მუსლიმ მოსახლეობას რელიგიური რიტუალების შესრულებაში ხელი არ შეშლია.

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვის ყველაზე მძლავრი შემთხვევა, უკვე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში დაფიქსირდა. არსებული ინფორმაციით, 2013 წლის 24 მაისს, 31 მაისს, 7 ივნისსა და 28 ივნისს, სოფელში ადგილი ჰქონდა მუსლიმი მრევლისთვის პარასკევის ტრადიციულ ლოცვაში ხელშეშლას. ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის შეფასებით, კონფლიქტის მიზეზი, 2013 წელს, „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ მიერ სამთაწყაროში, მუსლიმთა სამლოცველოსათვის შემენილი კერძო სახლი გახდა, სადაც, მუსლიმი მომლოცველები აღავლენდნენ ტრადიციულ ლოცვას. ტრადიციული ლოცვა, შენობის შეძენამდე, მორწმუნეთა ოჯახებში ტარდებოდა, რაც, მუსლიმური დოგმებით, ეწინააღმდეგება მათი რელიგიით დადგენილ წესებს.[6]

---

[4] http://1tv.ge/news-view/43674

[5] საქართელოს სახალხო დამცველის აპარატის 2012 წლის 3 დეკემბრის განცხადება.

[6] მუსულმანური რელიგიის მიხედვით, ტრადიციული პარასკევის ლოცვა (ჯუმა) უნდა აღევლინოს ისეთ შენობაში, სადაც არავინ ცხოვრობს.

სამთაწყაროში, პირველი რელიგიური უთანხმოება, 2013 წლის 24 მაისს მოხდა, რა დროსაც, მიმდინარეობდა პარასკევის ტრადიციული ლოცვა, მრევლი სამლოცველოში კითხულობდა ყურანს და ემზადებოდა ლოცვისთვის. კონფლიქტი სწერედ ამ დროს წარმოიშვა, ხოლო ვითარება მხოლოდ მას შემდეგ განიმუხტა, რაც მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებმა სოფელი დატოვეს. შესაბამისად, ადგილობრივმა მუსლიმებმა პარასკევის ლოცვის ჩატარება ვერ შეძლეს. სამთაწყაროში, მუსლიმთა სამლოცველო 2013 წლის აპრილიდან ფუნქციონირებს, ადგილობრივებსა და აჭარელ ეკომიგრანტებს შორის უთანხმოება კი სწორედ ამ დროიდან დაიწყო. სოფლის მოსახლეობამ სამლოცველოს გაუქმება მოითხოვა. სამთაწყაროს ინციდენტებთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ოფიციალური მიმართვაც გაავრცელა. „მივმართავ სამთაწყაროს მოსახლეობას - კეთილი ინებონ და დაიცვან კანონიერება. ჩვენ ვცდილობთ იქ მოლაპარაკებას, რომ მისცენ საშუალება უმცირესობას აღასრულონ თავისი რელიგიური მრწამსი. თუ ეს არ მოხერხდება მოლაპარაკებით, გამოვიყენებთ კანონს მთელი სიმკაცრით. ამ კონკრეტულ რეგიონში პროცესები ძალიან გართულდა, რელიგიური უმცირესობა ვერ ახერხებს აღავლინოს ლოცვა პარასკევს.“[7] სამთაწყაროში შეხვედრა გამართა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმაც, რომელიც ადგილობრივ მუსლიმებს შეხვდა და სალოცავად საკუთარი სახლი შესთავაზა. პატრიარქმა გამოთქვა პოზიცია, რომ ის, რაც სამთაწყაროში მოხდა, ხელოვნურად, კონკრეტული პიროვნებების ინტერესით გაღვივებული უთანხმოება იყო. „მე გაზრდილი ვარ ისეთ ოჯახში, სადაც ჩვენი უახლოესი ახლობლები მუსულმანი ქისტები იყვნენ. დედაჩემი და მამაჩემი ყველაზე კარგ ოთახში აგებდნენ ხალიჩებს, რომ იმათ ელოცათ. ჩვენ მეორე ოთახში, ხატების წინ ვლოცულობდით. ასეთ ოჯახში ვარ გაზრდილი. ერთიც და მეორეც ჩემი სულიერი შვილები ხართ. არასდროს არ დავუშვებ იმას, რომ დაჩაგრული იყოს რომელიმე. ვისაც ლოცვა მოგინდებათ, შეგიძლიათ ჩემთან მოხვიდეთ და ილოცოთ. ჩვენ ერთი ხორცი და სისხლი ვართ და თქვენ არ უნდა გაიმეტოთ ერთმანეთი, პირიქით უნდა დაეხმაროთ. ასეც არის, როგორც ვიცი. არ უნდა მოვუსმინოთ პროვოკატორებს", - განაცხადა პატრიარქმა.[8]

2013 წლის 26 აგვისტოს, საზოგადოება რელიგიურ ნიადაგზე დაძაბულობის შემთხვევას ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში გაეცნო. ვნებათაღელვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქმედებას მოჰყვა, რა დროსაც, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მეჩეთიდან მინარეთის მოხსნისა და დასაწყობების შესახებ. საჯარო უწყების განმარტებით, მინარეთი კანონდარღვევით აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე და განბაჟების დროს დარღვეულ იქნა კანონმდებლობის ცალკეული მოთხოვნები. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა სოფელ ჭელაში, 26 აგვისტოს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, 29 აგვისტოს განცხადება გაავრცელა, რომელშიც მინარეთის დემონტაჟის მიზეზებს განმარტავდა. როგორც განცხადებაში იქნა აღნიშნული, კონსტრუქციის სრულყოფილი სასაქონლო ექსპერტიზა უკვე დასრულებულია და ის მესაკუთრეს უკვე დაუბრუნდა. ამასთან, უწყების ცნობით, მინარეთის კონსტრუქციის დაბრუნება შემოსავლების სამსახურის ხარჯებით განხორციელდა.[9] ადიგენში, მინარეთის მოხსნას საყოველთაო ვნებათაღელვა მოჰყვა. დემონტაჟის პროცესში, პოლიციამ, 20 ქართველი მუსლიმი დააკავა, რომლებიც, ორ დღეში, ეტაპობრივად გამოუშვეს. მინარეთის დემონტაჟი, ჭელას მოსახლეობამ იმავე დღეს, ახალციხის რაიონულ სამმართველოსთან გააპროტესტა, მოგვიანებით კი, მათ ბათუმში გადაინაცვლეს. 2013 წლის 29 აგვისტოს, ახალციხეში მინარეთის არსებობა უკვე მართლმადიდებელმა მრევლმა გააპროტესტა, საბოლოოდ კი, საპატრიარქოსა და მუსლიმი სასულიერო პირების შეთანხმების შედეგად, მინარეთი 30 აგვისტოს ნეიტრალურ ადგილას დასაწყობდა. ადიგენის შემთხვევასთან დაკავშირებით ინციდენტი ამოწურულად ჩაითვალა, თუმცა 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ჯერ–ჯერობით, საჭირო დოკუმენტაციის მოუგვარებლობის გამო, მინარეთი მეჩეთზე არ აღმართულა.

---

[7] საქართველოს პრემიერ–მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის 2013 წლის 3 ივლისის საჯარო განცხადება.

[8] საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის 2013 წლის 10 ივლისის განცხადება.

[9] საქართელოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 10 სექტემბრის საჯარო განცხადება

3. დასკვნა

საქართველოში, 2012 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და 2013 წლის აგვისტოს რელიგიურ ნიადაგზე არსებულმა გაუგებრობებმა პირველხარისხოვან საკითხად გამოკვეთა სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნვის აუცილებლობა და სამოქალაქო განათლების გაძლიერების აუცილებლობა, რადგანაც რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ფაქტებმა – ნიგვზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროსა და ბოლოს უკვე ჭელაში აჩვენა, რომ საზოგადოებაში არსებობს განსხვავებული აზრისა და მოთხოვნილებების მიმართ, ამ შემთხვევაში, რელიგიური უმცირესობების მიმართ, ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოყალიბებული შეუმწყნარებელი დამოკიდებულება, ანტაგონისტური გარემო, რომლის აღმოფხვრასაც, სახელმწიფოს მხრიდან, შესაბამისი მხარდაჭერა სჭირდება. ამას ცხადყოფს 2013 წლის 22 სექტემბერს, ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის, თომას ჰამარბერგის საქართველოს შესახებ სპეციალურ მოხსენებაში: „საქართველოს გარდამავალ ეტაპზე“ რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოთქმული დასაბუთებაც, რომლის თანახმადაც, „უმცირესობებისა და სხვათა დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, საჭირო იქნება ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც კანონის აღსრულების შესაძლებლობას შექმნის. აუცილებელია შემდგომი ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმები რელიგიის თავისუფლების დასაცავად ყველასთვის თანაბრად და ნებისმიერი ისეთი ტენდენციის თავიდან ასაცილებლად, რამაც შეიძლება უმცირესობას მიკუთნებული მოსახლეობის მარგინალიზაცია გამოიწვიოს. თავიდან უნდა იქნას აცილებული უმცირესობის საკითხის განხილვა მხოლოდ უსაფრთხოების კონტექსტში, ბოლოდროინდელი ისლამოფობიური და ჰომოფობიური აქტები უკიდურესად შემაშფოთებელია.“ ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჰამარბერგი ხაზს უსვამს, რომ დღეს საქართველოში, ყველაზე მეტად, ისლამოფობიის დონემ აიწია. ევროკომისრის შეფასებით, „სახალხო დამცველის აპარატმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, არაერთხელ გამოხატეს აღშფოთება მუსულმანი ხალხის წინააღმდეგ გავრცელებული ძალადობისა და შეუწყნარებლობის გამო, თუმცა ეს საკმარისი არ არის. მსგავსი ფაქტები ისევ განმეორდა.“[10]

საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოს კონსტიტუცია მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაყრდნობით აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. რელიგიის თავისუფლება დღემდე ერთ–ერთ მაღალ დემოკრატიულ ღირებულებად ითვლება, რომელიც ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ აღიარა. სახელმწიფომ იძულების გარეშე, რწმენისა და აღმსარებლობის ფუნდამეტური უფლებების გათვალისწინებით, 2011 წლის ივლისში, მართალია, დაჩქარებული წესით, საზოგადოების სამართლიანი პროტესტის ფონზე, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რითაც სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს, საქართელოში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცათ. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიასთან დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული ერთ–ერთი მთავარი პრინციპი – სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ეკლესიისგან, ისევ საკამათო თემად რჩება, რადგანაც 2012–2013 წლის რელიგიურ ნიადაგზე ცალკეულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ როგორც სახელმწიფო – საეკლესიო იურისდიქციაში, ასევე ეკლესიაც საერო ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში ხშირად მონაწილეობს, ხოლო მთელ ამ პროცესში, რელიგიური უმცირესობების თანაცხოვრებამ, სახელმწიფოს მხრიდან, ნაკლები ყურადღება და ინტერესი მოიპოვა. საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, მნიშვნელოვანია, რელიგიური უმცირესობების მიმართაც არსებობდეს ფინანსური ხელშეწყობაც, რადგანაც მათ წინაშე არსებული ბევრი პრობლემა, სწორედ ფინანსური შესაძლებლობების ნაკლებობითაა განპირობებული. ხშირ შემთხვევაში, მუსლიმი თემის წარმომადგენლები, მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსურ შემოსავალს, შემოწირულობების სახით, საქართველოს ფარგლებს გარედან იღებენ, თუმცა საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, მიღებული ფინანსური დახმარება, მრევლის გაძლიერებისთვის, სალოცავების მოვლის და ტოლერანტობასთან დაკავშირებული საერთო თემების მიმართ, ცნობიერების

[10] თომას ჰამარბერგი, ანგარიში: „საქართველოს გარდამავალ ეტაპზე“, 2013

ამაღლებისთვის გამოიყენება თუ მიზანმიმართულად ძლიერდება რომელიმე რელიგიის გავლენა საქართველოში მართლმადიდებელი მრევლის დომინანტური მდგომარეობის შესავიწროვებლად ან/და დომინანტობის და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაუცველობის ხაზგასასმელად. მართალია, საქართველოში მოღვაწე კონფესიებმა მიიღეს ავტონომიურობა, თუმცა მათი ფინანსური ავტონომია მოითხოვს საჯაროობას, რათა ობიექტური წარმოდგენა გაჩნდეს, დასკვნაში განხილული ოთხი ინციდენტის რეალური გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების შესახებ.

რელიგიური ინსტიტუტების ფინანსურ შესაძლებლობებსა და სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით პოზიციის დაფიქსირებას, დღესდღეობით, საეტაპო დატვირთვა გააჩნია, რადგანაც ყველა ის პრობლემური საკითხი, რომელიც რელიგიურ ნიადგაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოიშვა, საფუძვლად მუსლიმური თემის მიმართ სახელმწიფოს ნაკლები ყურადღება, მათ შორის მათი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების მიმართ ფინანსური უზრუნველყოფით გამოვლენილი პრობლემები უდევს. უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის გარემოებები, როდესაც მუსლიმი საქართველოს მოქალაქეები განათლებას სხვადასხვა ისლამურ ქვეყანაში იღებს, აღნიშნულ ქვეყნებში მათ შესაძლებლობა ეძლევათ დასაქმდნენ და დაიკმაყოფილონ საჭირო სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო კერძო შემოწირულობებითა თუ ერთი მოსაზრებით, არალეგალური ფულით, საქართველოში იქმნება, ვრცელდება და ძლიერდება რელიგიური უმცირესობების სამლოცველოები, აღმსარებლობა, ხშირ შემთხვევაში, ყოველივე ეს იძენს მატერიალისტურ დაინტერესებას და ზრდის იმ საფრთხეებსაც, რომელიც გამოწვევების, პრობლემებისა და მკაცრი გადაწყვეტილებების წინაშე აყენებს საქართველოს სახელმწიფოს, ქვეყანაში დემოკრატიულ ღირებულებებს და სამოქალაქო საზოგადოებას წარმოაჩენს მარგინალურ ჯგუფებად.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სოფელ ჭელაში, მანამდე კი ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში, უხეშად დაირღვა მუსლიმთა უფლებები. არასათაანდო ძალის გამოყენებით, ადგილი ჰქონდა მორწმუნეების ფიზიკურ შეურაცხყოფასაც, თუმცა სახელმწიფოს რეაგირების შედეგად, შესაძლებელი გახდა შემთხვევა რელიგიურ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მუსლიმი მრევლის მიმართ სხვადასხვა შემთხვევების დროს განხორციელებული მუქარის, რელიგიური რიტუალისთვის ხელშეშლის, მათი დევნის ფაქტებს არც ერთ შემთხვევაში არ მოჰყოლია შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, რაც ზრდის შესაძლებლობას, ინციდენტების განმეორების შემთხვევაში, ანტაგონისტურად განწყობილ ადამიანებში ძალადობის წახალისება გამოიწვიოს. ამასთან, შესაძლებელია, ასეთმა „დაუსჯელობის სინდრომმა“ მუსლიმთა შევიწროვების პერიოდულ ხასიათს მყარი საფუძვლები შეუქმნას. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მუსლიმი მრევლის რელიგიური თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვისა და დისკრიმინაციის ფაქტებიდან, ჭელას შემთხვევა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის მთავარი შემთხვევა იყო. მნიშვნელოვანია, ამ პროცესის შეფასების დროს, ყურადღება მივაქციოთ ცალკეული პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეთა გადაწყვეტილებებსა და გამონათქვამებსაც, რომელთა კონტექსტმა, კიდევ უფრო მეტად დაძაბა შექმნილი ვითარება. ორგანიზაცია იზიარებს პოზიციას, რა დროსაც, სახელმწიფო ორგანოებს მინარეთის დაშლის კანონიერი საფუძვლების გათვალისწინებით, მრევლთან მეტი კომუნიკაცია უნდა ეწარმოებინა, რათა გაეთვალისწინებინა საკითხის სენსიტიურობა და რელიგიური უმცირესობის შესაძლო გამოხმაურება.

სახელმწიფო კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, ვალდებულია სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს. რელიგიის თავისუფლების ეფექტური რეალიზაცია არ შემოიფარგლება სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებით სარგებლობაში ჩაურევლობის ვალდებულებით. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს წარმოადგენენ. პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების მიერ ყველა აუცილებელი ზომის გატარებას, რათა უფლების დარღვევა ან ასეთი დარღვევის საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული და უმოქმედობითა და სამართლებრივად არაადეკვატური რეაგირებით არ მოხდეს შეუწყნარებლობისა და ძალადობის წახალისება.

სამთაწყაროში საქართველოს მოქალაქეების, აღმსარებლობით მუსლიმების მიმართ განხორციელებულ ქმედებებში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებები. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, აკრძალულია ადამიანთა თანასწორობის დარღვევა (142-ე მუხლი), რაც აშკარად იქნა დარღვეული რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ ოთხივე შემთხვევის დროს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ მისცა საშუალება მორწმუნეთა მცირე ჯგუფს, აღევლინათ ლოცვა, რითაც მოხდა მათი თანასწორობის დარღვევა და რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 155). ასევე განხორციელდა კოდექსით აკრძალული მუქარის ქმდება (მუხლი 151) და დევნაც (მუხლი 156). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ ფაქტების გამოძიება და სახელმწიფომ იფიქროს პრევენციებზე, რომელიც გაზრდის ნდობას საქართველოს მოქალაქეებს შორის რელიგიური ტოლერანტობის ამაღლებისთვის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების დაცვისთვის.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაყრობს იმ გარემოებასაც, რა დროსაც ჭელას ინციდენტის დროს, ადგილობრივი საკრებულოს არგუმენტი იყო, რომ მინარეთის მშენებლობისთვის არ არსებობდა ნებართვა. საინტერესოა, რატომ არ ჰქონდათ ნებართვა მუსლიმ მოსახლეობას მინარეთის მშენებლობისთვის? ამ ნაწილში, უკვე იკვეთება არსებული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ხარვეზი, რადგანაც მინარეთის დადგმასთან დაკავშირებით, ჩვენს საკანონმდებლო სივრცეში, არ არსებობს ნორმა, რომელიც რელიგიურ და საკულტო ნაგებობის მშენებლობის წესებს დაარეგულირებდა. შესაბამისად, ინციდენტის განმარტების დროს, მსგავსი რეგულაციების არ არსებობის გამო, მშენებლობის ნებართვის შესახებ გადაწყვეტილება ადიგენის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში არ გაუციათ. რაც შეეხება შემოსავლების სამსახურის ქმედებას, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციის თანახმად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იყო დაეთვალიერებინა საქონელი, აეღო სინჯი ან/და ნიმუში. ცხადია, ასეთი მოქმედებები დემონტაჟს არ ნიშნავდა.

4. სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს საპატრიარქოს, საქართელოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების რედაქტორებს

საპატრიარქოს მიმართ

რეკომენდაცია #1 - მნიშვნელოვანია, საქართველოს საპატრიარქომ გაამლიეროს ინტერრელიგიური ჯგუფის მუშაობა, რომელიც სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს შორის გააღრმავებს ურთიერთობებს, ხელს შეუწყობს წარმოშობილი პრობლემების ეფექტურ გადაჭრას და საყურადღებო საკითხების მიმართ, უზრუნველყოფს მრევლის ინფორმირებას. ინტერრელიგიურმა ჯგუფმა არ უნდა დაუშვას საქართველოში, რელიგიურ ნიადაგზე რაიმე სახის კონფლიქტის არსებობა და სათანადო რეაგირება მოახდინოს გარე ძალების ზემოქმედებაზე მორწმუნეებს შორის შუღლისა და დაპირისპირების გაღვივების მცდელობებისთვის.

რეკომენდაცია #2 – მნიშვნელოვანია, საქართველოს საპატრიარქომ სხვადასხვა კონფესიებთან ინსტიტუციური დიალოგის დროს, ერთობლივი ძალებით, განახორციელოს სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქეთა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა ტოლერანტობის, რწმენის თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპების გაძლიერებას. ამასთან, საპატრიარქოს ხელმძღვანელობით, შესაძლებელია, საქართველოში არსებულმა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებმა მიიღონ ერთობლივი კომუნიკე, რომელიც მორწმუნეებისთვის გახდებოდა გასათვალისწინებელი დოკუმენტი და იქნებოდა პირველი სერიოზული პრევენცია რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო დაძაბულობების პრევენციისათვის.

რეკომენდაცია #3 - საქართველოს ეკლესიამ უნდა გაამლიეროს მრევლის სამოქალაქო განათლების ამაღლებაზე ზრუნვა და იმავდროულად, კარგად იქნეს შეფასებული, საერო და სასულიერო პირთა ურთიერთჩაურევლობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფო კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებიდან და არ რეგულირდება საეკელსიო სამართლით დადგენილი წესებითა და მოქმედებებით.

საქართველოს მთავრობის მიმართ

რეკომენდაცია #4 - საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს თანაზომიერი, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ ლახავს მოქალაქეთა რელიგიურ გრძნობებს და სრულად იცავს რწმენისა და აღმსარებლობის კონსტიტუციურად გარანტირებულ უფლებას. საქართველოს მთავრობის ვალდებულებას წარმოადგენს, უზრუნველყოს ეფექტური გამოძიება და პასუხისმგებლობის საკითხის დასმა 2012 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და 2013 წლის აგვისტოს რელიგიურ ნიადაგზე წამოჭრილ დავებში, ყველა კანონდამრღვევი პირის გამოვლენის მიმართულებით. დაუშვებელია შერჩევითი დამოკიდებულება, რომელიც, პრობლემის განმუხტვით, ვერ უზრუნველყოფს საკითხზე სამართლიანობის აღდგენას. ამასთან, მთავრობამ ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა აღარ მოხდეს, კონკრეტულ რეგიონებში რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევა, რათა აღარ მოხდეს ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, რასაც უკვე ადგილი ჰქონდა განხულულ უთხივე შემთხვევაში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა მოუწოდოს ადგილობრივ თვითმმართველობებს, რათა მეტი ყურადღება გამოიჩინონ მათ რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და არ დაუშვან ადგილობრივ დონეზე, რელიგიურ ნიადაგზე დაპირსპირების არსებობა.

სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულება უნდა შეასრულოს და მყისიერად მოახდინოს ჩარევა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რელიგიის თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა.

რეკომენდაცია #5 - მთავრობამ უნდა შეამოწმოს და დაადგინოს საქმიანობის განხორციელებით აღჭურვილი პირების კვალიფიკიურობის საკითხი. დაუშვებელია, საჯარო მოხელე ან საჯარო ხელისუფლების განხორციელების მქონე პირი წარმოადგენდეს არაკვალიფიციურ პიროვნებას, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებების დროს არ ხელმძღვანელობს მოქმედი სამართლით და უპირატესობას ანიჭებდეს საკითხისადმი ტრადიციულ მიდგომებს.

საქართველოს პარლამენტის მიმართ

რეკომენდაცია #6 - საქართველოს პარლამენტმა უნდა დახვეწოს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ არსებული კანონმდებლობა და შექმნას/შემოიტანოს საერთაშორისო სტანდარტი/გამოცდილება, რომელიც ერთი მხრივ, დაიცავს რელიგიური უმცირესობების უფლებებს, მეორე მხრივ გაამკაცრებს რელიგიური უმცირესობების მიმართ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედებების მიმართ პასუხისმგებლობას და სანქციას. ამასთან, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ორგანომ მოამზადოს საკანონმდებლო ინიციტივა, რომელიც განსაზღვრავს, დააზუსტებს და მკაფიოდ გახდის რელიგიური და საკულტო ნაგებობების მშენებლობის რეგულაციას და ამ მიმართულებით, აღმოფხვრის საკანონმდებლო ხარვეზსს.

საქართველოს სასამართლოების მიმართ

რეკომენდაცია #7 - სასამართლო ორგანომ უნდა გამორიცხოს რელიგიური უმცირესობების უფლებების დავების განხილვასთან დაკავშირებით შერჩევითი დამოკიდებულება და გადაწყვეტილებები დააფუძნოს მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. დაუშვებელია ლმობიერი დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება საზოგადოებრივი აზრს და არა სამართლებრივ სინამდვილეს.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების რედაქტორებს

რეკომენდაცია #8 – მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ დაბალანსებული და დაზუსტებული ინფორმაციის მომზადება, როდესაც გაშუქება რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას და პრობლემური საკითხებს ეხება. მედიამ არ უნდა უზრუნველყოს „სიძულვილის ენის“ გავრცელება რელიგიური კონფესიების საქმიანობისა და მორწმუნეების მიმართ. მედია განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების წარმოჩენას საზოგადოებას და მყისიერად მოახდინოს, ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომების გამოსწორება.